# ობიექტის დაცვის ხელშეკრულება №5

ქ. თბილისი 31.12.2016წ

ერთის მხრივ, შპს „ალტერნატიული უსაფრთხოება„ (შემდგომში „დაცვითი ორგანიზაცია"), დირექტორი ბატონ ა.თევზაძის სახით და მეორე მხრივ სსიპ ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობისინსტიტუტი ს/კ 211346444 წარმოდგენილი მისი სირექტორის გიორგი თავაძის სახით (შემდგომში „დამკვეთი"), ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების არსი და პირობები:

1.1 დაცვითი ორგანიზაცია იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს დამკვეთის კუთვნილი ობიექტზე დაცვა ცოცხალი ძალით..

1.2 დამკვეთი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს ყოველთვიურად გაწეული მომსახურეობის საფასური.

1.3 დამკვეთი კისრულობს ვალდებულებას გამოუყოს დაცვით ორგანიზაციას სამორიგეოდ სპეციალური ფართი ან ადგილი.

1.4 დაცვა ხორციელდება დამკვეთის კუთვნილ ობიექტზე

1.5 ობიექტზე დაცვას ახორციელებს 1 მცველი 24 საათიანი გრაფიკით

1.6 სულ ობიექტის დასაცავად გამოყოფილია 3 მცველი

### 2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

### 2. ხელშეკრულების ფასი:

2.1 ხელშეკრულების ღირებულებაა 19 995 ლარი დღგს ჩათვლით.

2.2 შემკვეთი იანვრის თვეში იხდის 2395 ლარს, ხოლო ყოველ შემდეგ თვეში 1600 ლარს.

2.3 ანგარიშსწორება წარმოებს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 5 რიცხვამდე, სამსახურის მიერ ანგარიშ-ფაქტურის წარდგენის შემთხვევაში როგორც ნაღდი ისე უნაღდო ანგარიშსწორებით.

### 3 მხარეთა უფლება მოვალეობა და პასუხისმგებლობა:

3.1 სამსახური ვალდებულია უზრუნველყოს ობიექტის შეუფერხებელი კავშირი ოპერატიულ ჯგუფთან.

3.2 სამსახური ვალდებულია უზრუნველყოს ოპერატიული ჯგუფის გამოცხადება ობიექტზე გამოძახებისთანავე.

3.3 სამსახური იღებს ვალდებულებას კვარტალში ერთხელ წარუდგინოს დამკვეთს შესრულებული სამუშაოს წერილობითი ანგარიში.

3.4 სამსახური კისრულობს ვალდებულებას პერიოდულად გადაამოწმოს დასაცავი ობიექტი და გამოვლენილი ხარვეზების შესახებ აცნობოს წერილობით დამკვეთს რომელიც ვალდებულია დათქმულ დროში აღმოფხვრას აღნიშნული ხარვეზი წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახური იხსნის პასუხისმგებლობას.

3.5 სამსახური პასუხს არ აგებს დამკვეთის თანამშრომელთა პირად ნივთებზე თუ აღნიშნული არ არის ვიდეოკამერების ხედვის არეში.

3.6 ყველა სხვა მოთხოვნა რომელიც შეიძლება დამკვეთს გაუჩნდეს და არ არის ასახული ამ კონტრაქტში მათ შორის ობიექტის რეჟიმის და დაცვის თანამშრომლების მოქმედებასთან დაკავშირებით უნდა გაფორმდეს წერილობით, წინააღმდეგ შემთხვევაში დაცვითი ორგანიზაცია იხსნის პასუხისმგებლობას.

3.7 დამკვეთი იღებს ვალდებულებას დროულად აანაზღაუროს გაწეული მოსახურეობის საფასური.

3.8 დამკვეთი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს სამსახურს ამომწურავი ინფორმაცია, რომელიც ხელს შეუწყობს დაცვითი ღონისძიებების სათანადო განხორციელებას.



ALTERNATIVE SECURITY

3.9 დამკვეთი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს სამსახურის ის მოთხოვნები, რაც საჭიროა დაცვითი ღონისძიებების განხორციელებისათვის, ასევე გაითვალისწინოს მისი რეკომენდაციები.

3.10 დამკვეთი კისრულობს პასუხისმგებლობას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი მოვალეობის შეუსრულებლობისათვის, რაც წარმოადგენს სამსახურის ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველს.

3.11 სამსახური კისრულობს პასუხისმგებლობას აანაზღაუროს ის ზიანი რომელიც დამკვეთს მიადგება სამსახურის თანამშრომელთა ბრალეული ქმედების შედეგად.

3.12 ზარალის განსაზღვრა ხდება საბუღალტრო და სხვა სათანადო ოფიციალურ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ორივე მხარის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

## 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს ერთი წლის და ავტომატურად გრძელდება ყოველ შემდეგ ჯერზე იმავადით და იმავე პირობებით.

## 6. დავების გადაწყვეტის წესი:

ნებისმიერი დავა, წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით, წყდება ურთიერთმოლაპარაკებით ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობით.

## 7. ფორსმაჟორული გარემოებები;

ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეები პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებიან, როცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო.

## 8. დასკვნითი დებულებები;

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან. ამასთან, თითოეულ ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

ყოველი ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში ნამდვილია მისი წერილობითი გაფორმებით და მხარეთა მიერ ხელმოწერის შემთხვევაში.

## 9. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები:

| შემსრულებელი | შემკვეთი |
|---|---|
| შპს ,,ალტერნატიული უსაფრთხოება,,<br>თიბისი ბანკის მარჯანიშვილის ფილიალი<br>ბანკის კოდი 220101850<br>ანგარიშის ნომერი GE46TB1194436080100001<br>დირექტორი ა.თევზაძე -----------------<br>ტელ: 032 32 06 50 ; 790 32 06 50; 595 919-625; 591449 449 | სსიპ ფერდინანდ თავაძის მეტალურგიის და<br>მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი<br>დირექტორი გ.თავაძე------------------ |

ALTERNATIVE SECURITY